

**ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი რესურსების მონიტორინგის
გაუმჯობესების გზები საქართველოს დაცულ ტერიტორიებში**

გიორგი წივილაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და საინჟინრო ფაკულტეტზე
ბუნებათსარგებლობის (MBA) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*



სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ნუგზარ ზაზანაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2015

სარჩევი

აბსტრაქტი.....	2
1. შესავალი და ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა	3
1.1 საკითხის აქტუალობა, მიზნები და ამოცანები	3
1.2 ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა	4
2. საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ზოგადი მიმოხილვა.....	6
3. ბიომრავალფეროვნების საფრთხეები და მათი მონიტორინგი.....	10
4. საქართველოს დაცულ ტერიტორიებში ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი რესურსების მონიტორინგის თანამედროვე მდგომარეობის მიმოხილვა.....	13
4.1 ბუნების მატთანე.....	14
4.1.1 ამინდი	16
4.1.2 მდინარეები და ტბები.....	18
4.1.3 ფლორა.....	19
4.1.4 ფაუნა.....	24
4.2 ფოტო და ვიდეო მახეები	26
4.3 ბიომრავალფეროვნების ინდიკატორები	27
4.4 როგორ ხდება ინდიკატორების შეფასება	29
4.5 ინდიკატორები დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შესახებ.....	29
5. დასკვნები და რეკომენდაციები.....	34
გამოყენებული ლიტერატურა:.....	36

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი „ანგარიშის (Report) ტიპისაა“. იგი ეძღვნება მეტად აქტუალურ საკითხს, სახელდობრ დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი რესურსების მონიტორინგის გაუმჯობესების გზებს. ცნობილია, რომ დაცული ტერიტორიები დღეისთვის ერთ-ერთი უმთავრესი „მექანიზმი“ საქართველოს (და არა მხოლოდ საქართველოს) ბიომრავალფეროვნების, ბუნებრივი მემკვიდრების დაცვისა და მომავალი თაობების შენარჩუნებისათვის. დღეისათვის ეს არის დინამიურად განვითარებადი სისტემა: არსდება ახალი დაცული ტერიტორიები, მატულობს მათი ფართობი; თუმცა, მონიტორინგის სისტემის არასრულყოფილებამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს რიგ დაცულ ტერიტორიებს მათი ფუნქციების განხორციელებაში. იმისათვის, რათა სწორად ვმართოთ დაცული ტერიტორიები, საჭიროა მათში არსებული ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი რესურსების მონიტორინგის სისტემის შეფასება და იმ საკითხების გამოვლენა, როლებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ნაშრომში მიმოხილულია საქართველოს დაცულ ტერიტორიებში არსებული ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი რესურსების მონიტორინგის სისტემა საბჭოთა დროიდან დღემდე. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები.